პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

2017/2018სასწ.წელი

საკვლევი თემა:

„ საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემა და მისი გადაჭრის გზების ძიება“

დამეთანხმებით, თემა ძალიან აქტუალური და საინტერესოა. საკვლევი საკითხი გამომდინარეობს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებებიდან. აღნიშნული პრობლემის შესახებ ხშირად ვსაუბრობთ კოლეგები კათედრაზე შეხვედრისა თუ საკუთარი პრაქტიკის გაზიარებისას. თემა მნიშვნელოვანია სასწავლო შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

იმედი მაქვს ,შევძლებ წამოჭრილი პრობლემის იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრის გზების ძიებას, საჭირო სტრატეგიების პრაქტიკაში დანერგვას. გავიზრდები პროფესიული თვალსაზრისით, კვლევის შედეგები დამეხმარება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში,. ჩემი მოსწავლეები ჩამოყალიბდებიან კარგ მკითხველებად-ორიენტირებულნი იქნებიან გაგება-გააზრებაზე. კვლევის შედეგების ანგარიშს გავაცნობ კოლეგებს, გავუზიარებ საკუთარ გამოცდილებას , ჩემი რეკომენდაციები დაეხმარება კოლეგებს შედეგების გაუმჯობესებაში.

მადლობა მინდა გადავუხადო სკოლის ადმინისტრაციას, კოლეგებს, მოსწავლეებს და მშობლებს, რომელთა მხარდაჭერის , თანადგომისა და თანამშრომლობის გარეშე ვერ შევძლებდი კვლევის განხორციელებას.

ავტორი: ინგა ხალიბეგაშვილი-

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების სერტიფიცირებული მასწავლებელი; მე-3 კლასის დამრიგებელი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

თავი I.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1. მოკლე ინფორმაცია მე-3 კლასის მოსწავლეთა შესახებ
1.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი
1.3. პრობლემის გამომწვევი მიზეზები
1.4. კვლევის მიზანი
1.5. კვლევის ამოცანები

თავი II.

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი III.

კვლევის დიზაინი

3.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი
3.2. კვლევის მეთოდები
3.3. კვლევის ვადები

თავი IV.

კვლევის შედეგები

4.1. მონაცემთა ანალიზი

4.2. კვლევის მიგნებები

4.3. შესაძლო ინტერვენციები

4.4. განხორციელებული ცვლილებები

თავი V.

რეკომენდაციები და ინტერვენციის შეფასება

თავი VI.

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი არის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მესამე კლასში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიში. ნაშრომში წარმოდგენილია საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები.

თავი 1.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1. მოკლე ინფორმაცია მე-3 კლასის მოსწავლეთა შესახებ

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მე-3 კლასში სწავლობს 24 მოსწავლე. მათ შორის 13 ვაჟი და 11 გოგონა. კლასი არის მაღალი აკადემიური მოსწრების. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები საგაკვეთილო და სასკოლო ცხოვრებაში. ვასწავლი ქართულ ენას, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას და ვარ კლასის დამრიგებელი. მუდმივად ვზრუნავ პროფესიულ განვითარებაზე-ვეცნობი ახალ მეთოდურ მასალებს, ვიყენებ თანამედროვე ტექნოლოგიებს, მეთოდებსა და ინოვაციებს.

1.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი

კვლევის დაწყების საფუძველი გახდა სასწავლო წლის დასაწყისში ჩემ მიერ ჩატარებული დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგები და საკუთარ სამუშაო პრაქტიკაზე დაკვირვება. ტესტირება ჩავატარე საინფორმაციო ტექსტის გაგება - გააზრებაზე. აღმოჩნდა ,რომ მოსწავლეთა უმრავლესობას ჰქონდა გაგება-გააზრების პრობლემა. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე განმეხორციელებინა კვლევა, რომელშიც ჩავრთე ჩემი მოსწავლეები, მშობლები და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები.

1.3. პრობლემის გამომწვევი მიზეზები

1. მოსწავლეები ორიენტირებული არიან ფაქტობრივი ინფორმაციის დამახსოვრებაზე,ვიდრე გაგება-გააზრებაზე(შეკითხვების პასუხებს არ ეძებენ ტექსტში)
2. მოსწავლეები ვერ ფლობენ საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრებისათვის საჭირო კითხვის ეფექტურ სტრატეგიებს.
3. გამართული კითხვის დეფიციტი და მწირი ლექსიკური მარაგი.
4. სუსტი ვერბალური მსჯელობა და ინფორმაციის გადამუშავების პრობლემა.
5. წაკითხვის შემდეგ ინფორმაციის აღდგენის პრობლემა.
6. არ ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და დიაგნოსტიკა.
7. ნაკლები ყურადღება ექცევა საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობას.

1.4. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და შესწავლა, გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად დაგეგმილი ღონისძიებების , საჭირო ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება. მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება და მიღებული შედეგების შეფასება.

1.5. კვლევის ამოცანები

1. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა
2. დაკვირვება თითოეული მოსწავლის შედეგებზე
3. შედეგების მონიტორინგი
4. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა
5. მონაცემთა ანალიზი
6. შედეგების პრეზენტაცია
7. გამოცდილების გაზიარება

თავი II.

ლიტერატურის მიმოხილვა

სწავლის საფუძველი კითხვის უნარია, რომლის ჩამოყალიბება სასკოლო პერიოდის პირველ ეტაპზე ხდება და ხელს უწყობს იმ სააზროვნო პროცესების განვითარებას, რომელიც ეფექტური სწავლებისა და სწავლის წინა პირობაა ზოგადი განათლების შემდეგ საფეხურზე. მოზარდებს, რომელთაც უჭირთ კითხვა, მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან სკოლაში სწავლისას, ვერ ავლენენ თავიანთ პოტენციალს ვერც სკოლაში და ვერც ცხოვრებაში.

კითხვის ძირითადი მიზანია წაკითხულის გაგება, ტექსტის შინაარსის გააზრება, მასში გადმოცემული აზრის მნიშვნელობის კონსტრუირება და მიღებული ინფორმაციის შეფასება(„ კითხვის ეფექტური მეთოდები“, მასწავლებელთა პროფესილი განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010წ.)

კითხვა გააზრების გარეშე კითხვა არ არის,წაკითხვისა და გააზრების პროცესები მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული და ერთდროულად მიმდინარეობს. გაგება-გააზრების უნარ-ჩვევებს /სტრატეგიებს შევსება, გამდიდრება, გაძლიერება და უწყვეტი გადახალისება სჭირდება.გაგება-გააზრება კომპლექსური უნარია, რომლის განვითარებას საკმაო დრო და უნარი სჭირდება. გაგება- გააზრების ათვისება მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება.

„ ბავშვებისათვის ხმამაღლა კითხვა საუკეთესო საშუალებაა კითხვის სწავლების რეკლამირებისათვის, რადგანაც რეალური შედეგი მოაქვს. აქტივობა მოზარდს საშუალებას აძლევს , კითხვით მიღებული სიხარული განიცადოს და დარწმუნდეს, რომ კითხვა სასიამოვნო საქმიანობაა და არა დამტანჯავი და მოსაწყენი.“(ჯიმ ტრელიზი, „ ახალი სახელმძღვანელო ხმამაღლა კითხვისათვის“(1982)

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება აქვთ იმისათვის, რომ დამოუკიდებლად იფიქრონ, საკუთარი იდეის შეფასება და ფორმულირება მოახდინონ, პრობლემის მათეული გზით გადაწყვეტა შეძლონ.

„ ბავშვი მხოლოდ კონკრეტულ პრობლემასთან ჭიდილში , რთული სიტუაციიდან გამოსავალი გზების ძიების დროს ფიქრობს.“(ჯონ დიუი)

კვლევა და პედაგოგიური პრაქტიკა ცხადყოფს ,რომ გაგება-გააზრების გასაუმჯობესებლად განსაკუთრებით სასარგებლოა ლექსიკის სწავლების ორი მიდგომის გამოყენება:სიტყვების უწყვეტად და რეგულარულად სწავლება(Beck, Perfetti,& Mckeowen, 1982) და საკითხავი დავალების შესრულებამდე(ან ტექსტის წაკითხვამდე) (Brett,Rothlein, & Hurley,1996) Wixson, 1986)

მდიდარი ლექსიკური მარაგი კითხვასა და სწავლაში წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა. გააზრებული კითხვაცა დაწერაც მნიშვნელოვნად ლექსიკურ მარაგზეა დამოკიდებული. გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემის უმთავრესი მიზეზი

2006 წელს ჩატარებულმა საერთაშორისო კვლევამ ცხადყო,რომ მოსწავლეებს უჭირთ საინფორმაციო ტექსტზე მუშაობა. ისინი ვერ ახერხებენ გააანალიზონ ის ინფორმაცია,რომელიც ტექსტის შინაარსიდან გამომდინარეობს, მაგრამ მის ზედაპირზე არ არის მოცემული. კვლევის მაჩვენებლების მიხედვით საინფორმაციო ტექსტის გააზრებაში საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი არა აქვს არც ერთ რეგიონს საქართველში.

აღნიშნული პრობლემის დასაძლევად და მოსწავლეებში წაკითხულის გააზრების უნარის ჩამოყალიბებისათვის , საჭიროა , მეტი ყურადღება დაეთმოს საინფორმაციო ხასიათის ტექსტების კითხვას და გააზრებას.

დაკვირვებამ და კვლევამ ცხადყო, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტთან მუშაობისას მოსწავლეთა უმრავლესობას დახმარება სჭირდება. ეს იმას ნიშნავს,რომ ყველა საგნის მასწავლებელმა გარკვეული დრო უნდა დაუთმოს საინფორმაციო ტექსტთან მუშაობის ტექნიკის გამომუშავებას.თითოეული მასწავლებელი უნდა ცდილობდეს დააკვირდეს საკუთარ მოსწავლეებს, რამდენად იგებენ და იზიარებენ ტექსტიდან მიღებულ ინფორმაციას,შეუძლია თუ არა ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება,დასკვნის გამოტანა, საკუთარი აზრის ნათლად გამოხატვა.

მოსწავლეებში საინფორმაციო ტექსტის გააზრების უნარის გამომუშავება საკმაოდ რთული და გეგმაზომიერი აქტივობების თუ სტრატეგიების მრავალჯერად გამოყენებას მოითხოვს მასწავლებლისგან.

თავი III.

კვლევის დიზაინი

3.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი

1. მე-3 კლასის მოსწავლეები .
2. მოსწავლეთა მშობლები.
3. დაწყებითი კლასების მასწავლებლები

3.2. კვლევის მეთოდები

თვისობრივი და რაოდენობრივი:

1. მოსწავლეთა ანკეტირება, ანონიმური(დახურული კითხვები)
2. მასწავლებელთა ანკეტირება, ღია და დახურული კითხვები(ანონიმური)
3. მშობელთა ანკეტირება, ღია და დახურული კითხვები(ანონიმური)
4. ინტერვიუ მშობლებთან
5. ფოკუსირებული დაკვირვება მოსწავლეებზე

3.3. კვლევის ვადები:

სამი თვე(ოქტომბერი-დეკემბერი)-2017წ.

სამი თვე(მარტი-აპრილი-მაისი)-2018წ.

თავი IV.

კვლევის შედეგები

4.1. მონაცემთა ანალიზი

1. სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებული დიაგნოსტიკური ტესტირების მიზანი იყო რეალური სურათი მქონოდა ჩემი მოსწავლეების სწავლის საჭიროებებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ. მინდოდა გამომევლინა პრობლემები, მოსწავლეთა საჭიროებები და

დამედგინა პროცენტული მაჩვენებელი. ტესტირებაში მონაწილეობდა 24 მოსწავლე. გამოვლენილი პრობლემებისა და ჩემი მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით მიზანმიმართულად დავგეგმე ჩემი საქმიანობა.

ა) ტესტირების ჩასატარებლად შევარჩიე საინფორმაციო ტექსტი, შევიმუშავე კითხვები,შევადგინე შეფასების რუბრიკა კრიტერიუმებით და გამოვავლინე მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო და დაბალი შედეგები.

მაღალი შედეგი აჩვენა-

საშუალოზე მაღალი-

საშუალო------

საშუალოზე დაბალი-----

2. მოსწავლეთა ანკეტირებამ საშუალება მომცა დამენახა, თუ რა იყო მათი საყვარელი საქმიანობა. შედეგები ასეთია:
   წიგნის კითხვა ---70,8%
   მეგობრებთან თამაში----25%
   კომპიუტერით თამაში---4,2%
3. კითხვაზე, რომელი ტიპის ტექსტების კითხვა უფრო გიყვართ, აღმოჩნდა,რომ

   მხატვრული ტექსტის კითხვა უყვარს 16,7%-ს,

   საინფორმაციო ტექსტის-----29,2%,
   ორივე ტიპის ტექსტის კითხვა უყვარს 54,2%-ს.
4. დავადგინე ,რომ მშობლებთან ერთად კითხულობს 41,2%, , არ კითხულობს ----58,3%.
5. კითხვაზე , როგორ გიადვილდება კითხვა, გამოვლინდა,რომ ინდივიდუალურად კითხვა უადვილდება 91,7% , 8,3% კი ჯგუფებში კითხვას ანიჭებს უპირატესობას.
   მოსწავლეთა ტესტირებისა და გამოკითხვის რაოდენობრივი მონაცემები პროცენტულად წარმოდგენილია დანართის სახით(დანართი1, დანართი2, დანართი3, დანართი4)

6. აღსანიშნავია,რომ ჩემი კოლეგები დაინტერესდნენ საკვლევი თემით და აქტიური მონაწილეობა მიიღეს კითხვარის შევსებაში. ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა საგნის 20 მასწავლებელმა. კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ საინფორმაციო ტექსტზე მუშაობისას ძირითადი პრობლემებია: გაწაფული კითხვის არქონა, მწირი ლექსიკური მარაგი, ყურადღების დეფიციტი, არასწორად შერჩეული ტექსტი, აზრის ჩაწვდომის, მსჯელობისა და დასკვნების გამოტანის სტრატეგიების არცოდნა. გამოიკვეთა ისიც, რომ კოლეგებს შორის ხშირად არ

ხდება გამოცდილების გაზიარება-პრობლემების ერთობლივი განხილვა და გადაჭრის საერთო გზების ძიება.

7. მშობელთა გამოკითხვისას ჩემი მთავარი მიზანი იყო დამედგინა, როგორ ესმოდათ მშობლებს საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების არსი და როგორ ეხმარებოდნენ თავიანთ შვილებს. აღმოჩნდა, რომ მშობელთა გარკვეულ ნაწილს პრობლემა აქვს ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით. შესაბამისად იგი ვერ აცნობიერებდა რა პრობლემები ჰქონდა მის შვილს ტექსტის კითხვისას და ვერ უწევდა სათანადო დახმარებას.

ა) მშობელთა კითხვარიდან გავიგე,რომ თავისუფალ დროს მოსწავლეთა 54,2% თამაშობს მეგობრებთან, 25% კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას, 20,8% კი თამაშობს კომპიუტერით.

ბ) მშობელთა 70,8% აღნიშნავს,რომ ნებისმიერ დროს შეუძლია თავი დაანებოს საქმეს და ბავშვს დაეხმაროს, 29,2% კი იგივეს იშვიათად ახერხებს.

გ) დავადგინე ისიც,რომ მშობელთა 54,2% იშვიათად კითხულობს შვილთან ერთად, 33,3% ხშირად ახერხებს შვილთან ერთად კითხვას, 12,5% კი საერთოდ არ კითხულობს შვილთან ერთად.

დ) კითხვაზე „ ეხმარებით თუ არა წასაკითხი ტექსტის არჩევაში?“, შედეგები ასეთია:

დიახ------37,5%

არა--------12,5%

ზოგჯერ----50%

გამოკითხულ მშობელთა 100% აღნიშნავს, რომ წაკითხულის შესახებ მსჯელობს შვილებთან ერთად.(დანართი5, დანართი6, დანართი7, დანართი8)

8. ორიენტირებული ვიყავი შედეგზე , ვითვალისწინებდი მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ვცდილობდი თითოეული მოსწავლის ჩართვას და ვაკვირდებოდი ინდივიდუალურ პროგრესს. საგაკვეთილო პროცესის დროს ვახდენდი ფოკუსირებულ დაკვირვებას ინდივიდუალურად, მცირე და დიფერენცირებულ ჯგუფებზე.

4.2. კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი მიგნებები:

1. მოსწავლეები ნაკლებად ფლობენ საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიებს-ლინგვისტურ და არალინგვისტურ ხერხებს.
2. მოსწავლეები ნაკლებად ფლობენ საინფორმაციო ტექსტის დამუშავებისათვის მნიშვნელოვან მეთოდებს/აქტივობებს.

3. საჭიროა მშობელთა აქტიური ჩართვა ,რათა მათ ხელი შეუწყონ საკუთარი შვილების გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ მკითხველად ჩამოყალიბებას.
4. მეტი დრო უნდა დაეთმოს საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობას.

4.3. შესაძლო ინტერვენციები

მონაცემთა ანალიზისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შევიმუშავე ინტერვენციების რამდენიმე ვარიანტი:

1. საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიებზე მუშაობა.
2. საინფორმაციო ტექსტზე ფოკუსირებული დისკუსიები მოსწავლეთა შორის.
3. თანამშრომლობითი სწავლა წყვილებში, მცირე ჯგუფებსა და დიფერენცირებულ ჯგუფებში.
4. სწორად შევარჩიო შესაბამისი სირთულის ტექსტები და მოსწავლეებს დავუსახო კითხვის მიზანი.
5. მოხდეს საინფორმაციო ტექსტების დამუშავება კითხვის საათზე მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.
6. ლექსიკური მარაგის აქტივობების ინტეგრირება გააზრების აქტივობებში.
7. დისკუსიები მშობლებთან და მათი ჩართულობა საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობისას .

4.4. განხორციელებული ცვლილებები

1. კვლევის დაწყებამდე კიდევ ერთხელ კარგად გავაცნობიერე საინფორმაციო ტექსტის მახასიათებლები და მის გააზრებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. მინდოდა სწორად დავხმარებოდი მოსწავლეებს ამ ტიპის ტექსტებთან მუშაობაში და გამეუმჯობესებინა შედეგები.

ორიენტირებული ვიყავი შედეგზე , ვითვალისწინებდი მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ვცდილობდი თითოეული მოსწავლის ჩართვას და ვაკვირდებოდი ინდივიდუალურ პროგრესს. საგაკვეთილო პროცესის დროს ვახდენდი ფოკუსირებულ დაკვირვებას ინდივიდუალურად, მცირე და დიფერენცირებულ ჯგუფებზე.

ვითვალისწინებდი ჩემი მოსწავლეების ცოდნას , შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და ინტერესებს. გაკვეთილზე გამოყენებულმა მრავალფეროვანმა და განსხვავებულმა აქტივობებმა კითხვა ჩემი მოსწავლეებისთვის საინტერესო პროცესად აქცია, გაიზარდა მოტივაცია და ჩართულობა.

2. საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების გასაუმჯობესებლად გამოვიყენე სტრატეგიები:

ა) წინარე ცოდნის გააქტიურება

ბ) ტექსტის სტრუქტურის დადგენა

გ) ტექსტის ნაწილებად დაყოფა და კავშირების დამყარება

დ) შეკითხვების დასმა , მთავარი და მეორეხარისხოვანი ასპექტების გარჩევა.

ე) ჩაწვდომა-მიხვედრა-დასკვნების გამოტანა.

ვ) გრაფიკული სქემები

ზ) მსჯელობა და საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება.

თ) გაგების მონიტორინგი.

მიზანმიმართულად ვასწავლიდი კითხვის სამივე ეტაპზე კითხვების დასმას, ტექსტში ძირითადი აზრის პოვნას, ძირითადი ინფორმაციის თხრობას, დასკვნების გამოტანასა და ტექსტის ნაწილების დაკავშირებას.

3. ტექსტის წაკითხვის შემდეგ სწორად შერჩეული აქტივობები ბავშვს ისევ ტექსტთან დააბრუნებს . ამიტომ მნიშვნელოვანი იყო კითხვის შემდგომი სამუშაო ყოფილიყო მიზნობრივი და არა მხოლოდ სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული. საინფორმაციო ტექსტის გასააზრებლად შევასწავლე ისეთი აქტივობები(მეთოდები), როგორიცაა „ასოციაციური რუკა“, „ ვერბალურ-ვიზუალური სქემა“, „ მახასიათებლების ცხრილი“, „ თავიდან,მერე, ბოლოს“, „ 3-2-1“, „კლასტერული/გონებრივი რუკა“.

4. წაკითხულის გააზრება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სიტყვების ცოდნაზე. გამოვიყენე ლექსიკური მარაგის სწავლების ძირითადი მიდგომები და სტრატეგიები.

   I. ექსპლიციტური სწავლება- იმ სიტყვების შესწავლა, რომლებიც სჭირდებათ ტექსტის გასააზრებლად

   II. იმპლიციტური სწავლება-უშუალოდ კითხვის პროცესში აითვისონ ახალი სიტყვები.

   მოსწავლეები კარგად დაეუფლნენ ლექსიკური მარაგის გამდიდრების მრავალფეროვან მეთოდებს:

   1. გონებრივი რუკა
   2. სიტყვის/ცნების რუკა
   3. სიტყვის ვერბალურ-ვიზუალური ასოციაციებისრუკა
   4. სიტყვების გამომძიებელი
   5. სიტყვის პირამიდა
   6. დაკარგული სიტყვები

7. დღის სიტყვა
8. მნიშვნელოვანი სიტყვები
9. წინადადებები საკვანძო სიტყვების გამოყენებით
10. ფრეიერის სქემა

როცა ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე ვმუშაობდით ეფექტური იყო ბავშვების მიერ დამზადებული საინფორმაციო წიგნები -„ჩემი წიგნი“ . ფერად ბარათებზე დაწერილ სიტყვებს ვათავსებდი „ჯადოსნურ ყუთში“, იღებდნენ სიტყვებს ყუთიდან, განმარტავდნენ და ადგენდნენ წინადადებებს. მოსწონდათ აქტივობა „ ხუთწუთიანი კითხვა“ . კითხულობდნენ საკუთარი გემოვნებით შერჩეულ მცირე ზომის საინფორმაციო ტექსტებს. სვამდნენ კითხვებს, ეძებდნენ პასუხებს. ხშირად მივმართავდით დისკუსიას, როგორც ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს.

5. მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში იწვევს მოსწავლეთა მოტივაციის, კითხვისადმი ინტერესის გაძლიერებას. აქედან გამომდინარე , გადავწყვიტე მშობელთა აქტიური ჩართვა და მათთან მუდმივი თანამშრომლობა.ამისათვის გავმართე დისკუსია მშობლებთან მათი ინფორმირების მიზნით. პერიოდულად და ასევე კითხვის საათზე ვიწვევდი „მოხალისე მშობლებს“. ხდებოდა ტექსტების კითხვა და დამუშავება. ვაძლევდი რეკომენდაციებსა და რჩევებს, როგორ დახმარებოდნენ სახლში საინფორმაციო ტექსტზე მუშაობისას. გაიზარდა მშობელთა ინტერესი და ჩართულობა.
6. კითხვის საათზე წავიკითხეთ და განვიხილეთ მათთვის საინტერესო ტექსტები“ „ბაბილონის გოდოლი“, „ჭიანჭველები“, „პეპლები“, „ფოცხვერი“, „ დათვი“, „ სტიქიური მოვლენები“ , ისტორიული ტექსტები .
7. ვაკვირდებოდი თითოეულ მოსწავლეს, ვინიშნავდი შედეგებს და ვადგენდი საჭიროებებს, აქედან გამომდინარე ვგეგმავდი მომდევნო აქტივობებს. ვცდილობდი ნაბიჯ-ნაბიჯ დავხმარებოდი შედეგების გაუმჯობესებაში.
8. ვმუშაობდი გაწაფული კითხვის დაუფლებაზე, რადგან გაგება-გააზრება რთულდება გაწაფული კითხვის გარეშე. წაკითხვისა და გააზრების პროცესები ხომ მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთდროულად მიმდინარეობს.

თავი V.

რეკომენდაციები და ინტერვენციის შეფასება

1. **რეკომენდაციები**

ა) მოსწავლეებმა სისტემატიურად გამოიყენონ შესწავლილი გაგება-გააზრების სრატეგიები და მეთოდები/აქტივობები საინფორმაციო ტექსტების დამუშავებისას.

ბ) საინფორმაციო ტექსტზე მუშაობისას გამოიყენონ კითხვის სტრატეგიები(ლინგვისტური) და კოგნიტური სქემები(არალინგვისტური) ხერხები.

გ) სწორად შეირჩეს წასაკითხი ტექსტი, გათვალისწინებული იქნას მოსწავლეთა კითხვის დონე და ინტერესი.

დ) კიდევ უფრო გაიზარდოს მშობელთა ჩართულობა, რათა სწორად იმუშაონ საკუთარ შვილებთან საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების მიმართულებით, დაეხმარონ მათ კარგ მკითხველად ჩამოყალიბებაში.

ე) მე, როგორც მასწავლებელმა გავაგრძელო მუშაობა ამ მიმართულებით, მუდმივად მოვახდინო მუშაობის მონიტორინგი და შედეგების შეფასება.

ვ) კოლეგების გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება.

2.ინტერვენციის შეფასება

ჩემი შეფასების მიზანი იყო დამედგინა, რამდენად სწორად დავგეგმე და ეფექტურად იმუშავა თუ არა განხორციელებულმა აქტივობებმა, როგორ დაეუფლნენ ჩემი მოსწავლეები საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიებს, მეთოდებსა და აქტივობებს. დავეხმარე თუ არა მათ შედეგების გაუმჯობესებაში. დაეხმარა თუ არა ჩემი რჩევები მშობლებს შვილებთან მუშაობაში.

ამისათვის ჩავატარე პოსტესტი . მიღებული შედეგები შევადარე პრეტესტის შედეგებს და აღმოჩნდა, რომ ჩემი მოსწავლეების მიღწევები გაუმჯობესდა, მათ საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენეს.

მშობლებთან პირადი გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა,რომ ისინი უფრო მეტად დაინტერესებულები და აქტიურად ჩართულები არიან თავიანთი შვილების სასკოლო ცხოვრებაში , იციან რომელი აქტივობები და მეთოდები გამოიყენეონ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ საკუთარი შვილების კარგ მკითხველებად ჩამოყალიბებას.

იქიდან გამომდინარე,რომ გაგება-გააზრება კომპლექსური უნარია და მის დაუფლებას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება, გავაგრძელებ ამ მიმართულებით

მუშაობას, -გააზრების უნარ-ჩვევებს გამდიდრება, გაძლიერება და მუდმივი გადახალისება სჭირდება.

თავი VI.

დასკვნა

განხორციელებული პედაგოგიური კვლევის საფუძველზე შემიძლია გამოვიტანო დასკვნა,რომ დაწყებით კლასებში საინფორმაციო ტექსტზე მუშაობისას გაგება-გააზრების პრობლემების გამომწვევი მიზეზებია:

1. მოსწავლეების მიერ საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრებისათვის საჭირო სტრატეგიების არცოდნა.
2. წაკითხვის შემდეგ ინფორმაციის აღდგენის პრობლემა.
3. გამართული კითხვის დეფიციტი და მწირი ლექსიკური მარაგი.
4. კითხვის ეფექტური სტრატეგიების არასწორად გამოყენება.
5. ინფორმაციის გადამუშავების პრობლემა.
6. სუსტი ვერბალური მსჯელობა.
7. ტექსტის სირთულე.
8. გრაფიკული სქემებისა და მაორგანიზებლების ნაკლებად გამოყენება.
9. მშობელთა არაეფექტური ჩართულობა.

ჩამოთვლილი პრობლემების აღმოსაფხვრელად და დასაძლევად განვახორციელე მიზანმიმართული აქტივობები და ღონისძიებები . ინტერვენციების შეფასების შედეგად აღმოჩნდა,რომ მათი უმრავლესობა იყო ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული.

ვთვლი, რომ პრობლემაზე ორიენტირება და სწორად განხორციელებული საქმიანობები პოზიტიურ გავლენას ახდენს მოსწავლეთა შედეგებზე.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგების პრეზენტაცია გავაკეთე კათედრაზე. გავუზიარე კოლეგებს საკუთარი გამოცდილება. იმედი მაქვს, პრაქტიკული კვლევის შედეგად მიღებული ჩემი გამოცდილება და ასევე რეკომენდაციები დაეხმარება კოლეგებს სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებაში. კოლეგების მხრიდან მივიღე დადებითი უკუკავშირი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კითხვის ეფექტური მეთოდები

(სასწავლო-მეთოდური გზამკვლევი),2011წ.

2. ინტერაქტიური მეთოდები, თბილისი, 2014(მასწავლებლის ბიბლიოთეკა)

3. უოლშ ქეით ბურქ, კოგლინი პამელა ა, ...

ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა ბავშვებისათვის და მათი ოჯახებისათ

4. გამოცდების ეროვნული ცენტრი, წიგნიერება,2008.

5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი,

კითხვის ეფექტური მეთოდები,2010.

6. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე(I-IV კლასები)

(საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი)

USAID G-PRIED 2015

7. რ.მარზანო"ეფექტური სწავლება სკოლაში."

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,2009წ.

დანართები


რას აკეთებს თქვენი შვილი თავისუფალ დროს?
თამაშობს
კომპიუტერით 20,8%
კითხულობს
კლასგარეშე
ლიტერატურას 25%
თამაშობს
მეგობრებთან 54,2


როგორი ტიპის ტექსტის კითხვა გიყვარს?
16,7%
29,2%
54,2%
ორივე 54,2%
საინფორმაციო 29,2%
მხატვრული 16,2%


ჯგუფებში 8,3%
ინდივიდუალურად
91,7%


კითხულობ თუ არა მშობლებთან ერთად?
დიახ41,2%
არა 58,3%


რას აკეთებს თქვენი შვილი თავისუფალ დროს?
20,8% თამაშობს კომპიუტერით
25% კითხულობს კლასგ. ლიტ.
54,2% თამაშობს მეგობრებთან


შეგიძლიათ თუ არა ნებისმიერ დროს საქმეს თავი დაანებოთ და ბავშვს მიუჯდეთ?
იშვიათად 29,2%
ყოველთვის ვახერხებ 70,8%


არა 12,5%
ხშირად 33,3%
იშვიათად 54,2%


Category 1
არა 12,5%
დიახ 37,5%
ზოგჯერ 50%


მსჯელობთ თუ არა მასთან ერთად
წაკითხულის შესახებ?
დიახ 100%